

# შემოსავლების სამსახურის განმარტება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 119-ე მუხლზე

## მუხლი 119. გეოლოგიური კვლევებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელი მომსახურების ხარჯები

1. გეოლოგიური კვლევებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელი მომსახურების ხარჯები გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან საამორტიზაციო ანარიცხების სახით, ამ კოდექსის 111-ე მუხლით დადგენილი ამორტიზაციის ნორმის მიხედვით, 20 პროცენტის ოდენობით, ჯგუფის ღირებულებითი ბალანსის მიხედვით და აღირიცხება ცალკე ჯგუფად.

### ანალიზი:

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, გეოლოგიური კვლევებისა და ბუნებრივი რესურსების მოპოვების მოსამზადებელ სამუშაოებზე გაწეული ხარჯები ერთობლივი შემოსავლებიდან გამოქვითოს მისი ამორტიზებად აქტივად აღიარების და შესაბამისი ამორტიზაციის დარიცხვის გზით. ასეთი ხარჯი აღირიცხება ამორტიზებად აქტივთა ცალკე ჯგუფად და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მე-3 ნაწილის პირველი ჯგუფის ამორტიზაციის ნორმის მიხედვით გაიანგარიშება ერთობლივი შემოსავლიდან გამოსაქვითი საამორტიზაციო ანარიცხები.

### **ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №32):**

საწარმომ სასმელი წყლის მოსაპოვებლად მოსამზადებელ სამუშაოებზე საანგარიშო წელს გასწია 100 000 ლარის ხარჯი.

### შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

საწარმომ 100 000 ლარის ხარჯი უნდა აღრიცხოს ცალკე ჯგუფად და საანგარიშო წელს დაარიცხოს ამორტიზაცია 20 %-ის ოდენობით, ანუ ერთობლივი შემოსავლიდან უნდა გამოქვითოს 20 000 ლარი.

### 2. ეს მუხლი:

ა) ვრცელდება იმ არამატერიალური აქტივების ხარჯებზედაც, რომლებიც გაწეულია გადასახადის გადამხდელის მიერ ბუნებრივი რესურსების გეოლოგიური კვლევის, დამუშავების ან ექსპლუატაციის უფლების შეძენასთან დაკავშირებით;

ბ) არ ვრცელდება იმ არამატერიალურ აქტივებზე, რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადის დადგენა და საანგარიშო პერიოდის პროპორციულად გამოქვითვა შესაძლებელია.

### **ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №33) :**

საწარმომ საანგარიშო პერიოდში შეიძინა ბუნებრივი რესურსების გამოყენების უფლება 5 წლის ვადით, 5000 ლარად.

### შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

აღნიშნული არამატერიალური აქტივების ხარჯების მიმართ სსკ-ის 111-ე მუხლით დადგენილი ამორტიზაციის ნორმა ვერ იქნება გამოყენებული იმიტომ, რომ განსაზღვრული არის რეალურად ამ არამატერიალური აქტივის გამოყენების ვადა. შესაბამისად, ერთობლივი შემოსავლიდან ამ არამატერიალურ აქტივზე გაწეული ხარჯის გამოქვითვა უნდა მოხდეს საანგარიშო პერიოდების პროპორციულად, ანუ ყოველწლიურად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან 1000 ლარი.

